სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 23 ივნისი 1994 № 31 (106) ფასი 50 000 კუპონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

A ჯგუფი

18 ივნისი	აშშ — შვეიცარია	1:1
18 ივნისი	კოლუმბია — რუმინეთი	1:3
22 ივნისი	**რუმინეთი — შვეიცარია**	**1:4**
22 ივნისი	**აშშ — კოლუმბია**	**03.30**

შვეიცარია	2	1	1	0	5-2	4
რუმინეთი	2	1	0	1	4-5	3
აშშ	1	0	1	0	1-1	1
კოლუმბია	1	0	0	1	1-3	0

26 ივნისი	აშშ — რუმინეთი	24.00
26 ივნისი	შვეიცარია — კოლუმბია	24.00

B ჯგუფი

19 ივნისი	კამერუნი — შვედეთი	2:2
20 ივნისი	ბრაზილია — რუსეთი	2:0

ბრაზილია	1	1	0	0	2-0	3
შვედეთი	1	0	1	0	2-2	1
კამერუნი	1	0	1	0	2-2	1
რუსეთი	1	0	0	1	0-2	0

24 ივნისი	ბრაზილია — კამერუნი	24.00
24 ივნისი	შვედეთი — რუსეთი	03.30
28 ივნისი	რუსეთი — კამერუნი	24.00
28 ივნისი	ბრაზილია — შვედეთი	24.00

C ჯგუფი

17 ივნისი	გერმანია — ბოლივია	1:0
17 ივნისი	ესპანეთი — კორეა	2:2
21 ივნისი	გერმანია — ესპანეთი	1:1

გერმანია	2	1	1	0	2-1	4
ესპანეთი	2	0	2	0	3-3	2
კორეა	1	0	1	0	2-2	1
ბოლივია	1	0	0	1	0-1	0

23 ივნისი	**კორეა — ბოლივია**	**03.30**
27 ივნისი	ბოლივია — ესპანეთი	24.00
27 ივნისი	გერმანია — კორეა	24.00

D ჯგუფი

21 ივნისი	არგენტინა — საბერძნეთი	4:0
21 ივნისი	ნიგერია — ბულგარეთი	3:0

არგენტინა	1	1	0	0	4-0	3
ნიგერია	1	1	0	0	3-0	3
ბულგარეთი	1	0	0	1	0-3	0
საბერძნეთი	1	0	0	1	0-4	0

25 ივნისი	არგენტინა — ნიგერია	24.00
26 ივნისი	ბულგარეთი — საბერძნეთი	20.30
30 ივნისი	საბერძნეთი — ნიგერია	03.30
30 ივნისი	არგენტინა — ბულგარეთი	03.30

E ჯგუფი

18 ივნისი	იტალია — ირლანდია	0:1
19 ივნისი	ნორვეგია — მექსიკა	1:0

ნორვეგია	1	1	0	0	1-0	3
ირლანდია	1	1	0	0	1-0	3
იტალია	1	0	0	1	0-1	0
მექსიკა	1	0	0	1	0-1	0

23 ივნისი	**იტალია — ნორვეგია**	**24.00**
24 ივნისი	მექსიკა — ირლანდია	20.30
28 ივნისი	ირლანდია — ნორვეგია	20.30
28 ივნისი	იტალია — მექსიკა	20.30

F ჯგუფი

19 ივნისი	ბელგია — მაროკო	1:0
20 ივნისი	ჰოლანდია — საუდის არაბეთი	2:1

ჰოლანდია	1	1	0	0	2-1	3
ბელგია	1	1	0	0	1-0	3
საუდის არაბეთი	1	0	0	1	1-2	0
მაროკო	1	0	0	1	0-1	0

25 ივნისი	ბელგია — ჰოლანდია	20.30
25 ივნისი	საუდის არაბეთი — მაროკო	20.30
29 ივნისი	მაროკო — ჰოლანდია	20.30
29 ივნისი	ბელგია — საუდის არაბეთი	20.30

WorldCup USA 94



წილად გვარგუნეს ნიგერია ჩვენ...

ნიგერიასთან ამასწინანდელი გამანადგურებელი მარცხი ქართველებს ალბათ კატასტროფა გვეგონა. მაგრამ როცა რაშიდი იეკინიმ და კომპანიამ დიმიტარ პენევის შეგირდებსაც იგივე



დღე მსოფლიოს ჩემპიონატზე აყარა. ცოტათი გულს მოგვეფონა. ჩივაძის ნაკრებმა კი გუშინწინ ბათუმში ბრაზილიის «პალმეირასთან» მხოლოდ 0:1 წააგო

01. 5. წუხანდელი თამაში

შვეიცარია — რუმინეთი 4:1

ადრიან კუპმა — ერთადერთმა, ვისაც შვეიცარიის პირველ მატჩში არ უთამაშია — დასაწყისში ორგვარად გამოიჩინა თავი: მე-13 წუთზე სუტერმა გაიგერის პასი მიიღო და გოლიც გაიტანა; ამ დროს, მეორე ფრთაზე, სადღაც გადაკარგულში მყოფი კუპი, არც ხელს რომ უშლიდა ვისმე და არც ეხმარებოდა, თანამსაჯმა მაინც შეამჩნია და ოფსაიდი აღნუსხა. სუტერმა სამართალი თავად გაიჩინა: სამიოდ წუთში მეორედ გაიტანა გოლი და სწორედ კუპის ჩაწოდებულიდან.

მერე გეორგე პაჯი იციოდ წუთს ამაოდ ეძებდა რადუჩოუს, და რომ ვერ იპოვა, 25 პუტრიდან თავად დარტყა და ანგარიში გაქვითა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ორი შვეიცარელი მცველი მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და იქ დიდი ამბები დაატრიალა: კენტენმა ხელით პერს მიაწოდა, ამან ფეხით — შაპუიხას, ანგარიში 2:1 გახდა და რუმინელებს ჰაჯიმაც ვეღარ უშველა: სფორცამ და ბრეგიმ კუპს ორი გოლი გაატანინეს — 4:1.

ბოლოს მთვლემარე რადუჩოუც გამოფხიზლდა, მაგრამ პასკოლოს ვერაფერი დაკლო, ვლადოიუმ კი ბოლივიელი ეჩევერის რეკორდი გამეორა: შემცვლელად გამოხელმა სამი წუთიც ვერ მოითმინა, ორელს ეტაკა და ისევ სათადარიგოთა სკამისკენ წაჩანჩალდა.

მამუკა ჩიხლაძე

14. A ჯგუფი, II ტური
დეტროიტი, 22 ივნისი

შვეიცარია: პასკოლო, პოტიგური, პერი, გაიგერი, კენტენი, სუტერი (ბიკელი 71), ბრეგი, ორელი (სილვესტრი 82), სფორცა, კუპი, შაპუიხა

რუმინეთი: სტელია, პეტრესკუ, ბელოდედიჩი, მიჰალი, პროდანი, პოპესკუ, ლუპესკუ (პანდურუ 84), დუმიტრესკუ (ვლადოიუ 70), მუნტიანუ, პაჯი, რადუჩოუ

1:0 სუტერი (16)
1:1 პაჯი (36)
2:1 შაპუიხა (51)
3:1, 4:1 კუპი (65, 72)

გაფრთხილება: მიჰალი (33), ლუპესკუ (41), ბელოდედიჩი (47)

გაძევება: ვლადოიუ (73)

მსაჯი: ნ. ჟუინი (ტუნისი)

„სარბიელის" რჩეული: ალენ სუტერი

მზის დაბნელება ბულგარეთში

ნიგერია 3:0 ბულგარეთი

13. D ჯგუფი, I ტური
დალახი, 21 ივნისი

ნიგერია: რუფაი, ეგუაკონი, ოკეჩუკუ, ნვანუ, ირობა, ფინიდი (ეზეუგო 79), ოლისე, სიასია (ადეპოუუ 69), ამუნიკე, ამოკაში, იეკინი

ბულგარეთი: მიხაილოვი, კრემენლიევი, ივანოვი, ხუბჩევი, ცვეტანოვი, იანკოვი, ბორიმიროვი (იორდანოვი 72), ლეჩკოვი (სირაკოვი 59), ბალაკოვი, სტოიჩკოვი, კოსტადინოვი

1:0 იეკინი (21)
2:0 ამოკაში (43)
3:0 ამუნიკე (56)

გაფრთხილება: ლეჩკოვი (55), ამუნიკე (73)
მსაჯი: რ. ბადილია (კოსტა-რიკა)

თუ სხვა გუნდებთან რას გააწყობს ნიგერიის ნაკრები, ეს ცოტა ხანში გამოჩნდება, მაგრამ ევროპის მოშავალი ჩემპიონატის მე-7 ჯგუფში თავშოყრილ ნაკრებს თვალის დაუხამხამებლად რომ ახრამუნებს, ეს ფაქტია. ჯერ იყო და ამერიკაში გამგზავრების წინ ამხანაგურ მატჩში ჩვენს ნაკრებს აყარა შავი ღრუ, იმ ალბიდან ათი ღღის მერე კი აგერ ბულგარელებს ოფიციალურად დაუბნელა მზე. ათასგზის ნაქები სტოიჩკოვი იმ სტოიჩკოვის ფრჩხილადაც არ ღირდა, „ბარსელონას“ შემადგენლობაში მეტოქეებს ტყავს რომ აძრობდა. ისიც სათქმელია, რომ გუნდში, რომელიც შეხვედრას ყველა პარამეტრით აგებს, ალბათ შეუძლებელია ერთი კაცი ბრწყინავდეს, მაგრამ ამაგს ნურც ნიგერიელ მცველებს დაკარგავთ. გარდა ამისა, არც ის არის გამორიცხული, რომ ზესწრაფმა ბულგარელმა ესპანეთის ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგის თამაშებს მთელი ენერგია შეალია. იქნებ დიდი მწვრთნელის იოსან კრეიფის რჩევა-დარიგებაც (ოღონდ ისეთი არა, „მილანთან“ რომ მიიღო) მოაკლდა. ასეა თუ ისე, ნიგერიელებთან მატჩში სტოიჩკოვმა ერთხელ ააელვა მაყურებელი, როდესაც პირველი ტაიმის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე ბურთი ცოცხალ კედელს საუცხოოდ შემოატარა და გოლი შეაგდო, მაგრამ ტყუილად გაისარჯა, რადგან მსაჯს ჯარიმა კი არა, თავისუფალი ჰქონდა დანიშნული. ბულგარელთა მეორე თავდასხმელს ემილ კოსტადინოვს საყვედური ნაკლებად ეთქმის. იგი თანგუნდელთაგან ერთადერთი იყო, ვინც მწვავედ თამაშობდა, მაგრამ ამ მატჩში ბურთს აფრიკელთა კარში შეკარდნა არ ეწერა. აი, ბულგარელთა კარში კი... 21-ე წუთზე ნიგერიელებმა კლასიკურად გამართული კომბინაცია გაითამაშეს და პორტუგალიისა და აფრიკის ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირმა, სეტუბალის „ვიტორიაში“ მოთამაშე რაშიდი იეკინმა ანგარიში გახსნა. 30-ე წუთიდან მდევრებმა აფრიკის ჩემპიონს ხუთწუთიანი შტურმი მოუწყვეს, ზედიზედ რამდენიმე კუთხური ჩაწოდეს, მაგრამ ჰოლანდიელი მწვრთნელის კლემენს ვესტერჰოფის მიერ განსწავლულმა ნიგერიელებმა ამას გაუძლეს, ცოტა ხნის შემდეგ კი თავად წამოიწყეს ერთ თუ ორ წუთიანი ლაშქრობა, რომლის დასაწყისში დიდებულად მოთამაშე ემანუელ ამუნიკემ ძელი შეაჩანჩარა, ბოლოში კი მატჩის კიდევ ერთმა დამამშვენებელმა, ბელგიის „ბრიუგე“ ფორვარდმა დანიელ ამოკაშემ საჯარიმოში მეტოქის მცველს ბურთისთვის ძალა მოუგო და ანგარიშ[illegible] ...

[illegible] ტაიმის დასაწყისში იეკინმა ცენტრიდან მიიღო პასი, მეკარესთან პირისპირ შევიდა, მაგრამ ზანტად გაისარჯა და მცველმა დასწრო. 56-ე წუთზე კვლავ იეკინი დაუპირისპირდა მეკარეს, ქიხაილოვმა ბურთი მოიგერია, მაგრამ იგი ამსტერდამის აიაქსელ ჯორჯ ფინიდის მოუგორდა, ფინიდიმ ჩაწოდა, ემანუელ ამუნიკემ კი ნახტომით თაური შეაგდო. საგულისხმოა, რომ აფრიკელებმა სამივე საგოლე პასი მარჯვნიდან ჩაწოდეს. აქედან მოყოლებული ტემპი შენელდა და ბულგარელთა შეტევებს ყინი დაეკარგა. ისეთი სურათი შეიქმნა ერთი გუნდი განივ პასებს რომ აწვდის ერთმანეთს, მეორეს კი დაცვაში „ბალავანი“ აუგია. „სუპერარწივებს“ (ასე უწოდებენ ნიგერიაში ეროვნულ ნაკრებს) კიდევ შეეძლოთ გოლის გატანა, თუმცა რომ ვთქვათ, საამისოდ თავს იკლავდნენ, არ იქნება მართალი.

70-ე წუთზე ახლადშემოსულმა მუტიუ ადეპოუუმ „გაისროლა“, მაგრამ მიხაილოვმა იყინარა. ხუთი წუთის შემდეგ იეკინმა კვრ გამოიყენა კიდევ ერთი შესაძლებლობა.

პირველად მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე „შავი კონტინენტის“ გუნდმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვა. ჩვენმა მომავალმა მეტოქემ კი იმავე ეტაპზე მეჩვიდმეტედ იასპარეზა, პირველი გამარჯვება კი ვერა და ვერ მოუპოვებია.

ილია ბაბუნაშვილი

„სარბიელის“ რჩეული:
ემანუელ ამუნიკე
(ნიგერია — ბულგარეთი)

„სარბიელის“ ექსპერტი

ევროპა - აუნაზღაურებელი დანაკლისი

მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდების უმეტესობამ ჯერ მხოლოდ თითო მატჩი ითამაშა, მაგრამ ის, რაც ვნახეთ, სახელდახელო ანალიზის საშუალებას ნამდვილად იძლევა.

თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ტერმინი ფავორიტი და აუტსაიდერი აბსოლუტურად პირობითია. ძალები აშკარად თანაბარია, შედარებით სუსტად მხოლოდ ბერძნები და რუსები გამოიყურებიან. თამაშის ორგანიზაცია ყველა გუნდში მაღალ დონეზეა. არ არის ფეხბურთელთა არც ერთი შემთხვევითი მანევრი, მათი მოქმედება წინასწარაა გათვლილი და ნაკარნახებია ტაქტიკით. საგრძნობლად გაუმჯობესდა გუნდების ფიზიკური მომზადება — ფეხბურთელები პაპანაქებაშიც კი შესაშურ ფიზიკურ დატვირთვებს უძლებენ. ყველაფერი კეთდება ძალიან სწრაფად, ფეხბურთელებს გადაწყვეტილების მისაღებად ძალზე მცირე დრო რჩებათ. ისინი თავის და ძალების დაუზოგავად ებრძვიან მეტოქეს, რათა არ დაუთმონ მინდვრის არც ერთი მტკაველი. ტრადიციულად არასაფეხბურთო ქვეყნებიც (კორეა, საუდის არაბეთი, ბოლივია, აშშ) თამამად იყენებენ ისეთ საფეხბურთო ელემენტს, როგორიცაა ხელოვნური თამაშგარის შექმნა და ახერხებენ კიდეც განზრახულის მეტოქისთვის თავს მოხვევას. მაღალია გუნდების ტექნიკური დონე — დროში უაღრესად შეზღუდული მოთამაშეები საუცხოოდ ასრულებენ ტექნიკურ ელემენტებს, ბურთის გაჩერება იქნება, პასი თუ კარში დარტყმა.

უკვე გამართულმა მატჩებმა დაგვანახა, რომ ფავორიტებად მიჩნეული ყველა გუნდი ვერ ამართლებს გულშემატკივართა იმედებს. მსოფლიო ჩემპიონები, გერმანელები ძალიან შორს არიან იმ თამაშისგან, წინა ჩემპიონატში რომ გვიჩვენეს. იმის თქმა, რომ ნაკრები ფიზიკურად არ არის კარგად მომზადებული, ალბათ არ იქნება სწორი, მაგრამ, მათი ასეთი თამაში, მეტი რომ არ ვთქვათ, გაუგებარია. ლოთარ მათეუსის, თანამედროვეობის ამ უდიდესი ფეხბურთელის უკან დახევამ ძალიან დიდი პრობლემები შეუქმნა გუნდს მინდვრის შუაგულში. არადა, ძირითადად სწორედ აქ ხდება გუნდის ტექნიკურ-ტაქტიკური ქმედების კონცენტრაცია. მათეუსმა შეიძლება კარგად ითამაშოს დაცვაში, მაგრამ მისი არყოფნა მოედნის ცენტრში აუნაზღაურებელი დანაკლისია გუნდისთვის. წინა ჩემპიონატში სწორედ მათეუსი გახლდათ ის კოზირი, რომლის მეშვეობითაც ახერხებდნენ გერმანელები ეკარნახათ მეტოქეთათვის თავიანთი პირობები, შეტევა იქნებოდა ეს თუ დაცვის ორგანიზაცია.

ძალზე სუსტად გამოიყურება მეკარე ილგნერი და აკი გაუშვა კიდეც კურიოზული გოლი. იურგენ კლინსმანი, რომელზეც გერმანელები დიდი იმედებს ამყარებენ და არც თუ უსაფუძვლოდ, გარიყულივით გამოიყურება მოედანზე, მოწყვეტილია პარტნიორებისგან, რადგან მსოფლიო ჩემპიონები ვერაფრით ახერხებენ ნახევარდაცვასა და თავდასხმას შორის კავშირის დამყარებას. ვერ გაიხსნა ნაკრებში მიიოლერი, არადა, „იუვენტუსში“ იგი ბრწყინვალედ თამაშობს. აშკარაა, რომ ნაკრების დღევანდელ ტაქტიკურ სქემაში იგი ადგილს ვერ პოულობს. თუ ფოგთსმა რამე არ იღონა, გერმანიის გუნდმა შეიძლება გაწბილებული დატოვოს მილიონობით გულშემატკივარი.

კარგად ითამაშეს არგენტინელებმა. გუნდი დაბალანსებულია ყველა რგოლში, მარადონა კი რწმენას მატებს თანაგუნდელებს. მართალია, იგი ძველებურად ვეღარ ბრწყინავს, როცაინდივიდუალურად წყვეტდა ნებისმიერი თამაშის ბედს, მაგრამ მისი კლასი, გამოცდილება, პლუს ძლიერი პარტნიორები: კანიჯა, ბატისტუტა და სხვები, გვაფიქრებინებს, რომ არგენტინელები შემდგომაც ისევე კარგად ითამაშებენ, როგორც ბერძნებთან.

ბრაზილიელებმა ყველა რგოლში დაჯაბნეს რუსები. ისინი არ ღალატობენ თავიანთ ლაღ, ერთობ შემტევ თამაშს. სხვაგვარ ფეხბურთს ისინი ალბათ ვერც ითამაშებენ, ისე აქვთ სისხლში გამჯდარი ის თვისებები, რომლებსაც აღტაცებაში მოჰყავთ მაყურებელი, თუმცა დრო გვაჩვენებს, საკმარისი იქნება თუ არა უფრო ძლიერი მეტოქის დასამარცხებლად ბრაზილიელების ისეთი თამაში, როდესაც აქცენტი მხოლოდ შეტევაზე კეთდება.

იტალიელებს პრობლემები ჰქონდათ ირლანდიელებთან. თავისი ხასიათით ეს მატჩი ძალიან ჰგავდა „პარმა“ — „არსენალის“ თამაშს თასების თასის ფინალში. იტალიელებმა ვერაფერი მოუხერხეს ერთი შეხედვით მარტივ, მაგრამ ძალიან სწორ ტაქტიკას, რომელიც ირლანდიელებმა მათ შესთავაზეს. საკის ნახევარდაცვაში ამჯერად აკლია „მილანის“ დესაის ბადალი ათლეტური ფეხბურთელი, საგრძნობია მაღალი კლასის ფორვარდების ნაკლებობაც.

პირველ მატჩში ჰოლანდიელებსაც გაუჭირდათ. მათი თავისუფალი თამაშით კარგად ისარგებლეს არაბებმა და საკმაო პრობლემები შექმნეს მათ დაცვაში. სწორედ დაცვა გახლავთ ჰოლანდიელთა აქილევსის ქუსლი. ძალიან დამძიმდა კუმანი, რომლის თამაში სახიფათოა არა მარტო მეტოქის, არამედ თავად ჰოლანდიელებისთვისაც.

გია გილიგაშვილი

აფრიკული ფეხბურთი ერთი ყველაზე საინტერესო სალაბორო თემათაგანია ამ ჩემპიონატზე. მოდი და ნუ ილაპარაკებ ნიგერიაზე, ასე უმონყალოდ რომ გაუსწორდა ბულგარეთს. ბოლოდროინდელმა წარმატებებმა საკმაო ამბიციები შესძინა აფრიკულ ფეხბურთის მოღვაწეებს. „სარბიელის“ ექსპერტმა ამაში უნ[illegible] ინტერვიუც დაარწმუნებს: ტანზანიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის ალი პასან ვანაკატეს პირით.

აფრიკას სჭირდება მსოფლიო ჩემპიონატი

— ფიფას კონგრესის გადაწყვეტილებით, მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის შესაძლებლობა ყველას მიეცემა. როგორ აფასებთ ამ ნაბიჯს?

— ფეხბურთი დღესდღეობით ისეთი პოპულარულია, ყველა ქვეყანას სურს მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება. მაგრამ ამ ტურნირის მოწყობა მხოლოდ მათ ძალუძთ, ვისაც საამისო ფინანსურ-ეკონომიკური შესაძლებლობა აქვს. ამიტომ დადგა დრო, ვიფიქროთ, როგორ ჩავატაროთ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი აფრიკაში.

— როგორ წარმოგიდგენიათ ეს?

— ყველაზე უკეთესი იქნებოდა, აფრიკის კონტინენტი გამოსულიყო მასპინძლად. ამით მოგვცემოდა იმის შესაძლებლობა, რომ ჯგუფი სხვადასხვა ქვეყანაში განგვეთესა. ეს დაახლოებით ისევე იქნებოდა, როგორც აქ, ამერიკაშია. გაერთიანებული კონტინენტისთვის ეს არ იქნებოდა ძნელი საქმე.

— აფრიკის ფედერაციები ეთანხმებიან ამ მოსაზრებას?

— დიახ! აფრიკას სჭირდება მსოფლიო ჩემპიონატი — ჩვენ ხალხებს უყვართ ფეხბურთი.

— კონგრესმა ისეთი შთაბეჭდილება დამიტოვა, თითქოს აფრიკა და აზია ევროპისა და ლათინური ამერიკის წინააღმდეგნი არიან.

— „აფრიკა, აზია და ჩრდილოეთ ამერიკა ევროპის წინააღმდეგ“. „ფიფა ევროპასთან ერთად აფრიკისა და სხვების წინააღმდეგია“. ასეთ გამონთქვამებთან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან მათ საფეხბურთო ოჯახში [illegible] ინტეგრაციის შეტანა შეუძლიათ.

— ფიფაში ხომ არ არის ამის რაიმე საშიშროება?

— არანაირი ხიფათი ფიფას არ ემუქრება, საგრძნობია ტენდენცია დემოკრატიული განვითარებისა, რომელსაც ფიფა მიაყვება. ფიფა ესწრაფვის იმას, რომ ფეხბურთი დაინერგოს და განვითარდეს მთელს მსოფლიოში. ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ.

— რატომ დაუჭირეს მხარი აფრიკის ფედერაციებმა ჟოაო აველანჟის კანდიდატურას?

— საფეხბურთო წრეებში აველანჟი ძალზე პოპულარული პიროვნება. ეს არის მთავარი. იგი ნეიტრალური კაცია და ევროპელთა და ჩრდილო ამერიკელთა ინტერესებს სხვების სასიანოდ არ იცავს.

— აქვს თუ რა აფრიკას კონკრეტული მიზანი: უმასპინძლოს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატს?

— რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უკეთესი. აფრიკა ყოველთვის მზადაა ამისთვის.

— არის აფრიკაში ქვეყანა, რომელსაც 2006 წლის ჩემპიონატის მიღება სურს?

— როგორც ვიცი, ასეთი ქვეყანა ჯერჯერობით არ არის, მაგრამ როცა გამოჩნდება, მას მთელი აფრიკა ამოუდგება მხარში.

— გჯერათ, რომ 2006 წელს აფრიკელებს ეკნებათ შანსი გერმანიის წინააღმდეგ?

— გულთმისნობა ძნელი საქმეა, წინ 10 წელი გვიდგეს, მაგრამ გამორიცხული არაფერია.

ილრიგ ლოკა.

ნიკოდან, საგანგებოდ „სარბიელისთვის“

«სარბიელის» ნაკრები

პირველი ტურის შემდეგ



PERSONA GRATA

გაბრიელ ბატისტუტა

დაიბადა 1968 წლის 1 თებერვალს არგენტინის პროვინცია სანტა-ფეში

სიმაღლე 183 სმ, წონა 78 კგ

კლუბები: პლატენსე, ნიუელზ ოლდ-ბოიზი, რივერ პლეიტი, ბოკა ხუნიორსი, ფიორენტინა

მიღწევები: სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი 1991, 93

ბილარდოს დაწუნებული და ბასილეს რჩეული

გაბრიელ ბატისტუტას სერიოზული კარიერა 1988 წელს დაიწყო — მაშინ იყო, ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტის" მაისური რომ მიიზომა. ჯერ გაბრიელს უფრო „ბოკა ხუნიორსისკენ" მიუწევდა გული, მაგრამ ბედს დასჯერდა და... პირველ 16 მატჩში 10 გოლიც გაიტანა. პრესა უმალ ალაპარაკდა მასზე, მაგრამ ცოტა ხანში კლუბის ხელმძღვანელობამ მწვრთნელი მერლი აითვალწუნა და მის მაგივრად მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონი დანიელ პასარელა მიიწვია. ამან კი, პირველი, რაც გააკეთა, ისა იყო, რომ ბატისტუტა გუნდიდან დაითხოვა და თანაც საჯაროდ განაცხადა: ამ ბიჭს ტექნიკის ნასახიც არ გააჩნიაო. გაოგნებულმა, შეურაცხყოფილმა ბატისტუტამ „ბოკა ხუნიორსს" მიაშურა. მომდევნო სეზონში „ხუნიორსი" ოთხჯერ შეხვდა „რივერ პლეიტს" და ოთხჯერვე მოუგო, გაბრიელმა კი ყველა მატჩში გოლი გაიტანა. ასე იძია შური მის დაჩნუნებლებზე. იმხანად ჟურნალისტები მას ადარებდნენ „ფორმულა-1"-ის ბოლიდს, რომელიც დღითი-დღე უმჯობესდებოდა. მიუხედავად ამისა, კარლოს ბილარდო ბატისტუტას ნაკრებში არა და არ უხმობდა. გაბრიელს ეს არ ანაღვლებდა და ამბობდა: „მე არ მომწონს ის სტილი, რომლითაც ბილარდოს გუნდი თამაშობს. არც ბილარდოს ვუნდივარ მე. მას უფრო კონტრშეტეევის ისეთი გოლეადორი სჭირდება, როგორიცაა კანიჯა".

დადგა 1991 წელი. მოახლოვდა „კოპა ამერიკა" და ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ალფიო ბასილემ ტურნირამდე ერთი კვირით ადრე ბატისტუტა შეკრებაზე მიიწვია. დებიუტი ბრწყინვალე გამოდგა. არგენტინა ჩემპიონი გახდა, გაბრიელმა კი 6 გოლი გაიტანა (ორი — ვენესუელასთან, თითო — ჩილესთან, პარაგვაისთან, ბრაზილიასა და კოლუმბიასთან). იმავე წლის ზაფხულს ბატისტუტას ევროპისკენ გაექცა თვალი და აკი იტალიის „ფიორენტინაშიც" ამოჰყო თავი. ეს გუნდი 1993 წელს სერია B-ში გავარდა, თუმცა ბასილემ მაინც მოიწვია ბატისტუტა „კოპა ამერიკა-93"-ზე. გაბრიელმა დაუფასა ამაგი დამრიგებელს და ზედიზედ მეორედ გახადა არგენტინა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი. ამის შემდეგ განაცხადა ბატისტუტამ: ბასილეს ხელმძღვანელობით თამაში დიდი სიამოვნებაა.

ამასობაში კანიჯა დოპინგზე გამოიჭირეს და გვარიანი დისკვალიფიკაციაც გამოუნერეს. ბატისტუტა ნაკრების ერთადერთი გოლეადორი შეიქნა და კარგადაც ასრულებდა ამ ფუნქციას, სანამ კოლუმბიამ შინ 5:0 არ გაანადგურა მისიანები. გაბრიელს წარბიც არ შეუხრია: კოლუმბიამ ისე ითამაშა, თითქოს სხვა პლანეტის გუნდი ყოფილიყო და ნაკაგებდით, აბა, რა იქნებოდაო. იგი არ მალავს, რომ მის გუნდს დიდი შანსი აქვს მესამედ გახდეს მსოფლიოს ჩემპიონი. „ამაზე 1978 წლიდან ვოცნებობ. მაშინ ცხრა წლისა ვიყავი, არგენტინა ჩემპიონი რომ გახდა. მთელი დღე ვცეკვავდი ხან ტელევიზორის, ხან იმ კედლის წინ, კემპესის პლაკატი რომ მქონდა გაკრული. დარწმუნებული ვარ, ეს დღესაც შეიძლება. თუ მარადონა საკადრის ფორმაში შევა, არგენტინა შეერთებულ შტატებში უძლეველი იქნება. რაც მთავარია, საკმაო ხნის შემდეგ არგენტინა ისევ ის გუნდია, რომელიც არა მარტო მოგებისთვის, არამედ მაყურებლისთვისაც თამაშობს".

ჩემპიონატის პირველ მატჩში ბერძნებთან ბატისტუტამ სრულად გამოავლინა გოლეადორის უნარი: ჰეთ-თრიკიც შეასრულა და ბომბარდირთა სიასაც მოექცა სათავეში. მარადონაც იკრებს ძალებს. ეგებ მართლა ახდეს ბატისტუტას ოცნება.

მერაბ რატიშვილი

1993. ბატისტუტა სამხრეთ ამერიკის თასით

PERSONA GRATA

დანიელ ამოკაში



ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიელ ამოკაში მხოლოდ ოცდაერთი წლისაა, მაგრამ მან ახლავე იცის თუ რა გზას დაადგება, ფეხბურთს თავს რომ დაანებებს. იგი ამერიკაში გადასახლდება. მომავალი ასე წარმოუდგენია: თავზე კეტბურთელის კეპით, მაგნიტოფონზე MTV-ის მუსიკა, ვიდეოზე NBA-ს მატჩები, ხელში Coca-Cola.

*

„ბრიუგეს" მწვრთნელებს არც დაუმალავთ, რომ ამოკაშიზე ფრანგ ბიზნესმენს, პოლიტიკოსსა და „მარსელის" პრეზიდენტ ბერნარ ტაპის თვალი ჰქონდა დადგმული. ტაპიმ სულ მცირე ათჯერ დარეკა ბელგიური კლუბის შტაბ-ბინაში, მაგრამ ერთ-ორ კვირაში „მარსელ" — „ვალენსიენის" მატჩის ირგვლივ ყველასთვის კარგად ცნობილი სკანდალი ატყდა და ამოკაში დარწმუნდა, რომ საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს...

*

1992 წლის ივნისში ამოკაში მშობლიურ ნიგერიაში გატარებული შვებულებიდან ბელგიაში დაბრუნდა და ლოგინად ჩავარდა. „საშინელ დეპრესიაში ვიყავი — იგონებს დანიელი — ორი თვე ფეხზე ვერ წამოვდექი, პრესაში კი ერთი ამბავი ატყდა. ზოგმა თქვა მალარია სჭირსო, ზოგმა შიდსიო, ზოგმაც — კვლავაც სინამდვილეში რალაც აფრიკული ვირუსი შემეყარა. ოლონდ ჩემზე ჭორების მოსმენა კი არა, ანტიბიოტიკები მჭირდებოდა".

*

ავადმყოფობამდე, იმ წლის გაზაფხულზე ამოკაშიმ ათი გოლი გაიტანა. „ბრიუგეს" გაჩემპიონებაში უდიდესი წვლილი შეიტანა და თასების თასის ნახევარფინალშიც გავიდა, სადაც მის გუნდს ბრემენის „ვერდერი" შეხვდა. „ბარსელონას" მწვრთნელი იოპან კრუიფი აღფრთოვანდა ახალგაზრდა ნიგერიელის თამაშით და ხმამაღლა განაცხადა: ეგ კაცი მე მინდაო. ამას მოყვა ის, რომ ამოკაში გაიფხორა, ვიდეოკამერების წინ „ბარსას" ყელსახვევებით პოზიორობა დაიწყო, ცა ქუდად აღარ მიაჩნდა და დედამინა ქალამნად. ჩემპიონატში კი გაუცუდდა თამაში, „ვერდერთან" შეხვედრაშიც სულელურად დაჯარიმდა, რისთვისაც მოედნიდან გაძაძევეს და ოთხი თამაშით დისკვალიფიკაციაც მისცეს. კრუიფმა ეს რომ ნახა, თქვა: ამ კაცის ყიდვისგან თავს შევიკავებო. ამოკაშიმაც თავი ჩაქინდრა და შვებულებაზე ნიგერიისკენ გასწია. მერე იყო იმ ინფექციის ამბავი, ზემოთ რომ მოგახსენეთ.

ახალი პაპენი

1990 წელს ნიგერიელმა ფეხბურთელმა სტეფან კეშმ თავის ძველ კლუბს „ანდერლეხტს" ამცნო ახალგაზრდა ამოკაშის შესახებ და მისი ყიდვა ურჩია. იგი ლეოპარდივით სწრაფია და ხარივით ღონიერი" — ასე დაუხასიათა კეშმ თანამემამულე ბრიუსელელ ნაცნობებს, მაგრამ მათ ყურად არ იღეს. სამაგიეროდ „ანდერლეხტის" უმთავრესმა მეტოქემ „ბრიუგემ" გაკეთაჭა საქმე. მწვრთნელმა რონი დესმეტმა დამწყები ფორვარდი პოლანდიაში იუნიორთა შეჯიბრებაზე ნახა და თავისი მაშინდელი განცდა ჟურნალისტებს ასე ალუწერა: „პირველი ტაიმის შემდეგ ეჭვი ალარ მეპარებოდა, რომ ჩვენს წინ ახალი ჟან-პიერ პაპენი იდგა. მასსავით სწრაფი, მძლავრი, მტკიცე... თან მხოლოდ 17 წლის". 1990 წლის ზაფხულში ამოკაში „ბრიუგეში" გადავიდა. ჯერ კიდევ ბავშვი ერთ-ერთი მოქალაქის ოჯახს მიაბარეს.

*

თავიდან „ბრიუგეში" საქმე ვერ აეწყო, რადგან გუნდის ხელმძღვანელები ცნობილი ოსტატების გამოყვანას ამჯობინებდნენ და ამოკაშიც სათადარიგოთა სკამზე იჯდა, მაგრამ ცოტა ხანში საქმე მოტრიალდა. ჩემპიონატის მეთერთმეტე ტურში ნიგერიელი მოედანზე შეუშვეს და მანაც იმედი არავის გაუწბილა. რამდენიმე თვეში დანიელს ნიგერიდანაც დაუკავშირდნენ. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მას სენეგალში აფრიკის ჩემპიონატზე ჩასვლას თხოვდა. „ახლა ვერ ნამოვალ — მიუგო პრეზიდენტს ამოკაშიმ — მიჯობს აქ, ევროპაში კლასი ავიმაღლო და ნაკრებს მერე შევუერთდე. გთხოვთ ნუ მომაცდენთ".

ამოკაში ნაკრებს შეუერთდა, ხოლო კლასი აიმაღლა თუ არა, ეს ბულგარელებს ეკითხეთ.

ილია ბაბუნაშვილი

სარბიელი

ფეხბურთის მოყვარულთა ახდენილი ოცნება!

გაზეთ «სარბიელისა» და სააქციო საზოგადოება «სასტუმრო აჭარის» კლუბი «მესეფი»

მსოფლიოს ჩემპიონატის ყველა მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი ორ პარალელურ არხზე!

უიდასაკაბელო ქსელის საშუალებით ნებისმიერი მატჩის ვიდეოჩანაწერის ჩვენება სტუმართა სურვილით!

დენის გამორთვა დაზღვეულია ავტონომიური ენერგომომარაგების სისტემით!

თანამედროვე დონის კაფე-ბარის მრავალფეროვანი ასორტიმენტი!

პირველხარისხოვანი სერვისი და მაქსიმალური კომფორტი!

გაზეთ «სარბიელის» ტოტალიზატორი CROCO !

ერთჯერადი ბილეთის ფასია 3 000 მანეთი

გვეწვიეთ სასტუმრო «აჭარის» მე-18 სართულზე

სორბონში დაწყებული მოძრაობა

1894 წლის 16 ივნისს პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში ფრანგი ბარონის, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის მამამთავარ პიერ დე კუბერტენის ინიციატივით თავი მოიყარა საერთაშორისო ათ-ლეტური კავშირის 72 დელეგატმა, რომლებიც 12 ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ. მათ ერთხმად დაუჭირეს მხარი კუბერტენის წინადადებას, რათა ელინური ოლიმპიადების მსგავსად ოთხ წელიწადში ერთხელ ჩატარებულიყო დიდი შეჯიბრებები. იმავე კონგრესზე, 23 ივნისს, შეიქმნა სოკ-იც. მის პირველ პრეზიდენტად, ოლიმპიური თამაშების სამშობლოს პატივსაცემად, საბერძნეთის წარმომადგენელი დემეტრიუს ვიკელესი აირჩიეს, ხოლო მდივნად პიერ დე კუბერტენი.

პიერ და კუბერტენი (მარცხნივ) და დემეტრიუს ვიკელესი

მას შემდეგ 100 წელი გასულა და სორბონში დაწყებული მოძრაობა მთელს მსოფლიოში ფრიად პოპულარული გახდა. დღეს, 23 ივნისს, ეს თარიღი საზეიმოდ აღინიშნება პარიზში.

საქართველოს წარმომადგენლები ოლიმპიურ მოძრაობაში საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე ჩაებნენ, ხოლო 1989 წლის 6 ოქტომბერს დაფუძნებული ჩვენი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ოლიმპიელიც შარშან სექტემბერში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სრულუფლებიანი წევრი გახდა.

ჩვენმა 75 სპორტსმენმა ოლიმპიურ თამაშებში 31 ოქროს, 22 ვერცხლისა და 39 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს, რაც უდაოდ დიდი მიღწევაა.

იმედია, საქართველოს ეოკ-ი ახლა უფრო მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში, რომელიც სულ მეტად პოპულარული ხდება. ამისი თქმის საფუძველს გვაძლევს ჩინებულად ჩატარებული ის ღონისძიებაც, რომლის ამსახველ მასალასაც ქვემოთ გთავაზობთ.

რბენა ხუთი რგოლით

„რბენის ოლიმპიური დღე", რომელსაც მოყვარულ მძლეოსანთა საერაშორისო ფედერაციასთან თანამშრომლობით კოორდინაციას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი უწევს, მთელ მსოფლიოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. იგი პრაქტიკულად ტარდება ხუთივე კონტინენტის ყველა ქვეყანაში, სადაც ამისი შესაძლებლობა არსებობს. შეჯიბრების ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობს „კოკა-კოლაც", რომელიც სპორტული საქონლის მრეწველობის მსოფლიო ფედერაციასთან ერთად ასპარეზობის მონაწილეებს თავისი საფირმო ნიშნით დამშვენებული მაისურებით უზრუნველყოფს, ხოლო გამარჯვებულთ — პრიზებით.

ეს ღონისძიება ტრადიციულად 23 ივნისს, სოკ-ის დაბადების დღის წინა ან მომდევნო კვირას ტარდება. წლევანდელი რბენის დღე, რაკი სოკ-ისა და თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის 100 წლისთავს ეძღვნება, ერთიორად მეტ მნიშვნელობას იძენს. „რბენის ოლიმპიურ დღეს" უკვე უმასპინძლა თბილისმა. იგი საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა, შპს „კოკა-კოლა კავკასიონმა" და რესპუბლიკის მძლეოსნობის ფედერაციამ ჩაატარა. მან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სტარტზე, რომელიც ბორის პაიჭაძის სტადიონზე შედგა, 900-მდე მორბენალი გამოვიდა. მათ შორის იყვნენ ისინი, ვინც აქტიურ სპორტს მისდევენ და უბრალოდ რბენის მოყვარულებიც. იყვნენ თითისტოლა ბავშვებიცა და 80 წელს მიკაკუნებულნიც. ზოგიც მთელი ოჯახით გამოვიდა სტარტზე. იასპარეზეს ინვალიდებმაც, რომლებმაც სტარტი რესპუბლიკის მოედანზე აიღეს. შეჯიბრებაში რაიონებიდან ჩამოსული რბენის მოყვარულებიც დაუშვეს.

საინტერესოა, რომ თავისუფლების მოედანზე ყველა ინვალიდი მივიდა ფინიშთან. ესენი იყვნენ: თბილისელები თამუნა აბრამიშვილი, გია ჯოხაძე, გიორგი კოხრეიძე, გიორგი ძნელაძე და სოხუმელი დავით მარღანია. სტადიონიდან მორბენალთაგან, რომელთა ტრასა დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის სახელობის პროსპექტებზე გადიოდა, შემდეგ კი კოსტავას ქუჩასა და რუსთაველის პროსპექტზე, ფინიშთან ნახევარი მივიდა, რაც სპეციალისტთა თქმით კარგი მაჩვენებელია.

ქალთა შორის უძლიერესი იყო თეა გილაშვილი (საგარეჯო). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მაყვალა გამზოევა (თბილისის „მართვე") და ქეთევან აბრამიძე (ვანი).

ვაუთა შორის პირველი სამეუღი ასე განაწილდა: ზიგმუნდ ზილბერშტეინი (ახალციხე), ჰამლეტ მამიკონიანი (თბილისის „მართვე") და შალვა ნადირაძე (თბილისის „მხედრონი").

რბენის ყველა მონაწილეს ფინიშთან გასაგრილებლად ელოდა „კოკა-კოლა", აგრეთვე სოკ-ის პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩს მიერ ხელმოწერილი სერთიფიკატი, ხოლო ათ-ათ საუკეთესო სპორტსმენს ასევე „კოკა-კოლას" სიმბოლიკით გალამაზებული საჩუქრები, ხოლო გამარჯვებულთ სეოკ-ის პრიზები. „რბენის ოლიმპიური დღის" ყველაზე უმცროსი მონაწილე აღმოჩნდა თბილისელი ცოტნე გაჩეჩილაძე, რომელმაც მამის მხრებზე „ირბინა". ყველაზე ასაკოვანი 77 წლის ბელ ეარდიაშვილი იყო. მას ფინიშთან ხუთი წლით უმცროსმა შალვა ვახტანგიშვილმა მიასწრო.

რა თქმა უნდა, ამ გამორჩეულმა მორბენლებმაც „კოკა-კოლას" მიერ დანესებული პრიზები მიიღეს.

ავთანდილ ჭუკუშელი

ავტორის ფოტოები

სარბიელი

...ი გაზეთი

გამოდის ... ...ათ და პარასკევობით

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და ხსნა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208
გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ნოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი"

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიბრიანული
რედკოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეკვილია, მამუკა ჩიხლაშე (პასუხისმგებელი მდივანი)